

თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის  
სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი

10 მაისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- |                     |  |
|---------------------|--|
| კოტე რატანი         | - ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.                              |
| ლევან ჭანჭალეიშვილი | - ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.   |
| ვასილ მებურიშვილი   | - ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი                                      |
| ირაკლი გიორგაძე     | - ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.                              |
| ნოდარ მიქიაშვილი    | - ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე. |

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში „საფიჩხის“ ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე „ხარაზოვის“ სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №4 სახანძრო ნაწილის (ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, ყოფილი კულტურის სახლი) შენობის კაპიტალური შეკეთების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №22 სასაწყობო მეურნეობების 2 (ორი) შენობის (№27 საჯარო სკოლის გვერდით) სახურავის კაპ. შეკეთების საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №457. 07.05.2012).

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“ წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 10100 (ათიათასასი) ლარზე (დღგ-ს გარეშე).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 10 მაისის 13:00 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვას:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.  
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალაიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“ მიიღო 31,3 ქულა.

აზრი გამოთქვას:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.  
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალაიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.


დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში „საფიჩხიის“ ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე „ხარაზოვის“ სკვერში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №4 სახანძრო ნაწილის (ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე, ყოფილი კულტურის სახლი) შენობის კაპიტალური შეკეთების და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის №22 სასაწყობო მეურნეობების 2 (ორი) შენობის (№27 საჯარო სკოლის გვერდით) სახურავის კაპ. შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“.


2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალაიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

 კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალაიშვილი 

ვასილ მებურიშვილი 

ირაკლი გიორგაძე 

ნოდარ მიქიაშვილი 